



საქართველო

Deloitte Legal

28 მაისი 2021

## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

#### ცვლილებები კანონში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

2021 წლის 13 აპრილს გამოქვეყნდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც კანონის 41-ე და 42-ე მუხლები ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. ეს მუხლები შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების აღსრულებასა და ქონებაზე ყადაღის მთლიანად ან ნაწილობრივ მოხსნას. უფრო კონკრეტულად, გაეროს სანქციათა კომიტეტის მიერ სანქციადაკისრებულ პირთა სიაში ნებისმიერ ცვლილებას საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალა ექნება ამ ცვლილების კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. ასეთი ცვლილებებია: სანქციადაკისრებულ პირთა სიაში პირის დამატება, სიიდან ამოღება, ან პირის საიდენტიფიკაციო მონაცემის ცვლილება.

ინფორმაცია ამჟამად მოქმედი გაეროს სანქციათა კომიტეტების შესახებ ხელმისაწვდომია გაეროს ვებსაიტზე:

[www.un.org/securitycouncil/sanctions/information](http://www.un.org/securitycouncil/sanctions/information),

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციების შესაბამისად სანქციადაკისრებულ პირთა ერთიანი სია კი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

[www.un.org/securitycouncil/content/un-sc-consolidated-list](http://www.un.org/securitycouncil/content/un-sc-consolidated-list).

## სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევაზე

2021 წლის 29 აპრილს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ფიზიკურ პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევის გამო.

საქმეში ფიზიკურ პირს თავისი საცხოვრებელი შენობის გარე ფასადზე, საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დამონტაჟებული ჰქონდა ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომელთა ხედვის არეალში სხვა მესაკუთრეთა საცხოვრებელი სახლების შესასვლელი და საერთო სარგებლობის შიდა ეზოც ექცეოდა. საყურადღებოა, რომ ფიზიკური პირი ვიდეოთვალთვალს სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე ახორციელებდა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საცხოვრებელი შენობის ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, როცა კამერ(ებ)ის ხედვის არეალი სხვა პირთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინების სივრცესაც ფარავს, საჭიროა მათი (მესაკუთრეთა) წერილობითი თანხმობის მოპოვება. სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება განმარტავს, რომ პირის უფლება, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი სივრცით ისე, რომ არ მოხდეს საკუთარ საცხოვრებელ შენობაში ან/და ეზოში მისი გადაადგილების/ქცევის მონიტორინგი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. შესაბამისად, ფიზიკურმა პირმა მისი საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ სხვა საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებმა შეძლონ საკუთარი საცხოვრებელი სივრცით თავისუფლად სარგებლობა.

## საქართველოს მთავრობის დადგენილება სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს დაფუძნების შესახებ

2021 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება (no.220), რომლის საფუძველზეც შეიქმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო. სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელსაც დაევალა სააგენტოს დებულების დამტკიცება. სააგენტო შეითავსებს სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობის მიმართულებებს.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მიწის ღირებულების დადგენისა და ანაზღაურების წესი

2021 წლის 18 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება (no.223), რომლითაც დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მიწის ღირებულების დადგენისა და ანაზღაურების წესი.

წესის მიხედვით, მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცემა მესაკუთრის მიერ გასხვისების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე. წესი ითვალისწინებს ანაზღაურების ოდენობის დადგენის მეთოდსაც: მიწის ნაკვეთის შემენაზე მოლაპარაკების დაწყებამდე, სააგენტომ უნდა მიმართოს დამოუკიდებელ აუდიტორს/ექსპერტს მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლისთვის წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების დასადგენად.

# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.